ტარიელ კინჩურაშვილი

კვარას იტალიური გაზაფხული

თბილისი
2023 წ.

UDC (უაკ) 796.332.071.2(479.22)+796.332(450)

კ-528

რედაქტორ-გამომცემელი

ტარიელ (ტატო) კინწურაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება

კოგა ბედოიძე

© ტარიელ (ტატო) კინწურაშვილი

ISBN 978-9941-8-5494-1

წინასიტყვაობა

მეტაფორული ეპითეტებით გაჯერებული საფეხბურთო გამოცემა მკითხველს მუღამში შეიყვანს.

წინამდებარე ბროშურაში ნაჩვენებია აწ უკვე ისტორიული პანორამა იმ კაცის შესახებ, რომელმაც სამშობლო მთელი ბრწყინვალეებით წარმოაჩინა.

ხვიჩა კვარაცხელია სახეა მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ჩემპიონატისა.

იგი ევროპაში ჩვენი ერის დესპანია.

--

კვარა მარცხნიდან უტევს, თუმცა შეტევა ცენტრიდან და მარჯვენა ფლანგიდანაც «ფეხ»ეწიფება.

ფიზიკური კონდიციების მხრივ მოწოდების სიმაღლეზე დგას.

მოედანზე შესანიშნავად მანევრირებს.

ბურთს კარისკენ ძლიერად და ზუსტად ურტყამს.

არის ბრწყინვალე დრიბლიორი.

ფლობს უზადო ტექნიკას.

და ყველაზე მთავარი – ხვიჩა მებრძოლია!

--

თეთრ ალამზე გამოსახული წითელი ჯვრები ისე არასდროს ელვარებდა, როგორც ახლა.

კვარას იტალიური გაზაფხული აყვავდა – წინ საოცარი თავგადასავლები გველის!..

***

ИТАЛИИС «СЕРИА А» ТУРИ №1 / ВЕРОНА-НАПОЛИ 2:5

არავითარი ადაპტაცია.

პირველ ტაიმში ხვიჩა კვარაცხელიამ ბრავოს ხარივით ურქინა ბურთს და ლორენცო მონტიპოს კარი დალაშქრა!

ანგარიში (1:1) გათანაბრდა.

ქართველმა მეორე ნახევარშიც გამოიჩინა თავი. მან მარჯვენა ფეხით საგოლე პასი შეასრულა პიოტრ ზელინსკის მიმართულებით. პოლონელი ნახევარმცველის მოქნეულმა მარცხენამ «ნაპოლი» (2:3) დააწინაურა.

***

ИТАЛИИС «СЕРИА А“ ТУРИ №2 / НАПОЛИ-МОНЦА 4:1

ხვიჩამ ორი შედევრი შექმნა!

პირველ ნახევარში მარჯვენა ტერფით მეტოქეს შორიდან ჩაუხვია და ანგარიში გახსნა – მეორე ტაიმში კი სტანისლავ ლობოტკასგან მიიღო ბურთი, საჯარიმოში შეიჭრა, ვალენტინ ანტოვი ცრუ მოძრაობით გააბითურა და ზუსტი დარტყმით მიკელე დი გრეგორიოს შანსი არ დაუტოვა.

***

ИТАЛИИС «СЕРИА А» ТУРИ №3 / ФИОРЕНТИНА-НАПОЛИ 0:0

საქართველოს ნაკრებისა და «ნაპოლის» ლიდერი იმ ქალაქს ეწვია, სადაც იტალიური რენესანსი დაიბადა.

დიდმა ფლორენციელებმა: ლეონარდო და ვინჩიმ, მიქელანჯელო ბუონაროტიმ, სანდრო ბოტიჩელიმ და კიდევ არაერთმა

შემოქმედმა ხელოვნება თვალისმომჭრელად გააცისკროვნეს, თუმცა 2022 წლის 28 აგვისტოს, წინა ორი ტურიდან გამომდინარე, ნეაპოლელი «ტიფოზები» და ქართველი გულშემატკივრები ხვიჩას «ფეხოვნების» სანახავად იყვნენ ჩასაფრებულნი.

კვარაცხელიამ მთლად ფეერიულად ვერ იასპარეზა, მაგრამ მატჩის ერთ-ერთ ეპიზოდში მარჯვენა ფეხით ზღაპრული პასი შეასრულა – სამწუხაროდ ირვინგ ლოსანომ თავით ზუსტად ვერ დაარტყა.

***

იტალიის «სერია A» ტური №4 / ნაპოლი-ლეჩე 1:1

ლუჩანო სპალეტის გადაწყვეტილებით კვარაცხელია მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე და კარგადაც ითამაშა, ოღონდ ქომაგებს მისმა გამოსვლამ უკმარისობის გრძნობა დაგვიტოვა, რადგან კარგ ასპარეზობას კი არა დიდებულ შოუს ველოდით.

***

იტალიის «სერია A» ტური №5 / ლაციო-ნაპოლი 1:2

ამჯერად მოლბერტის ფუნქცია რომის ოლიმპიურმა არენამ გასწია, ხოლო სელის უხეშ ნაჭრად ხასხასა ბალახი გარდაისახა...

ხვიჩამ თავისი შესაძლებლობები უმაღლეს დონეზე წარმოაჩინა და რიგ მომენტებში თამაშს ფანტასტიკური ჟანრის ელემენტები შესძინა.

მომაჯადოებელი იყო მისი მოძრაობა, რასაც შორეული დარტყმა მოჰყვა – ბურთმა «ლაციოს» კარის ძელი შეაზანზარა.

კვარაცხელიამ მიზანი მაინც გაისწორა და გამარჯვების

მომტანი ლამაზი გოლით თამაში დაამშვენა.

სამოცდამეერთე წუთზე კამერუნელმა ანგისამ მარჯვენა ფლანგიდან ხვიჩას მიმართულებით შეასრულა გადაცემა, ხოლო საჯარიმო მოედანზე შეჭრილმა «კვარავაჯომ» კარავაჯოსავით დახატა.

კარავაჯოს შედევრებითაც სავსეა რომი.

***

ჩემპიონთა ლიგა, A ჯგუფი, ტური №1 / ნაპოლი-ლივერპული 4:1

ნეაპოლიტანურმა ჰანგებმა ფსიქოდელიური როკის ჟღერადობას ხმა დაუხშო.

პირველი ტაიმის მიწურულს კვარაცხელიამ არნოლდი და გომესი ტრანსში ჩააგდო – შემდეგ კი უზუსტესი პასის ავტორი გახდა. კარის პირისპირ ორიოდ მეტრში მყოფმა ჯოვანი სიმეონემ შანსი ფეხიდან არ გაუშვა.

ქება სპალეტისაც უნდა ვუძღვნათ.

«პატარა ვირებმა» გამართული თამაშით მრისხანე მეტოქე გატეხეს.

***

იტალიის «სერია A» ტური №6 / ნაპოლი-სპეცია 1:0

ნეაპოლს «არწივები» ესტუმრნენ!

«სპეციამ» გათამაშების ლიდერთან – «სპეცია»ლურად – განსაკუთრებული შემართებით ითამაშა და მედგარი წინააღმდეგობაც გაუწია. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ რადაც უნდა დასჯდომოდათ ლიგურიის ზღვისპირა ქალაქში დამარცხებული არ დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ საბოლოოდ

22 წლის ჯაკომო რასპადორი გამოდგა «სპეცია»ლისტი იმ კარის გაღებისა, რომელიც ძალზე საიმიედოდ იყო ჩარაზული. ძირითადი დროის ბოლოსწინა წუთზე «სასუოლოში» დაფრთიანებულმა თავდამსხმელმა ბართლომიე დრონგოვსკის სადგომს გასაღები მოარგო.

ექვსი ტურის შემდეგ «ნაპოლიმ» გათამაშების ცხრილის მწვერვალზე ყოფნა შეინარჩუნა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ თამაშში კვარაცხელიას ანგარიშზე გოლი ან საგოლე პასი არ დაფიქსირდა, იგი თავისი გუნდის რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ და ტექნიკის დემონსტრირებაც არაერთხელ მოახდინა.

სპალეტიმ მეორე ნახევარში კვარაცხელია ჯოვანი სიმეონეთი შეცვალა.

და რაც მთავარია!

მატჩის დაწყების წინ, ხვიჩა კვარაცხელიას აგვისტოს თვის საუკეთესო მოთამაშისთვის განკუთვნილი ჯილდო გადასცეს.

***

ჩემპიონთა ლიგა, A ჯგუფი, ტური №2 / რეინჯერსი – ნაპოლი 0:3

სპალეტის გუნდმა დიდი ბრიტანეთი მოსრა!

«ლივერპული» ჩემპიონთა ლიგის მოქმედი ფინალისტი. & «რეინჯერსი» ევროპის ლიგის მოქმედი ფინალისტი.

ხვიჩამ მეტოქის კარისკენ დაარტყა, ბორნა ბარიშიჩმა კი ბურთს ხელი შეაგება. მსაჯმა პენალტი დანიშნა, ხოლო მატჩის დასრულებამდე ოცდაორი წუთით ადრე მატეო პოლიტანომ თერთმეტმეტრიანი დარტყმა გოლად გარდასახა და შეხვედრას წერტილი დაუსვა.

***

ИТАЛИИС «СЕРИА А» ТУРИ №7 / МИЛАНИ-НАПОЛИ 1:2

ნეაპოლის «ნაპოლიმ» იტალიის მოქმედი ჩემპიონი «სან სიროზე» დაამარცხა!

შეხვედრაში ანგარიში მას შემდეგ გაიხსნა, როცა სერჟინიო დესტმა საკუთარ საჯარიმო მოედანზე კვარაცხელია მოცელა.

პენალტის ნიშნულთან მისული პოლიტანოს დარტყმამ მიზანს მიაღწია. მაიკ მენიანმა კინაღამ აუღო, თუმცა «კინაღამ» არ ითვლება.

გარდა იმისა, რომ კვარაცხელიამ პენალტი მოინადირა, მეტოქე ფეხბურთელებს ყვითელი ბარათებიც აკიდა. ერთი სიტყვით ხვიჩა მოწოდების სიმაღლეზე იყო.

***

ИТАЛИИС «СЕРИА А» ТУРИ №8 / НАПОЛИ-ТОРИНО 3:1

ხვიჩამ ნეაპოლურ მანდოლინაზე დაუკრა, მეგრული «ნანა» ააკვნესა და «ხარებს» ბალეტი აცეკვა.

თავის დროზე პეტრე ჩაიკოვსკიმ საყოველთაოდ ცნობილ ბალეტში სწორედ მეგრული «ნანას» ერთ-ერთი ჰანგი გამოიყენა...

«მაკნატუნას» ვგულისხმობ.

სოლო შესრულება

პიოტრ ზელინსკიმ კვარაცხელიას ბურთი დაუგორა – ხვიჩა კი ზუსტად მოედნის ცენტრიდან დაიძრა, მარცხენა ფლანგზე რეაქტიული სიჩქარე განავითარა, მეტოქის საჯარიმო მოედანზე შეჭრილმა მილინკოვიჩ-სავიჩს აუღებელი დაურტყა და ტაბლოზე სამბურთიანი სხვაობა გამოსახა.

პირველი ტაიმის მიწურულს პიემონტელმა «ხარებმა» პრესტიჟისა გაისროლეს.

მეორე ტაიმმა მშრალად ჩაიარა.

***

ჩემპიონთა ლიგა, A ჯგუფი, ტური №3 / აიაქსი-ნაპოლი 1:6

ამსტერდამში მეგრული «ჯანსულო» აჟღერდა!

ჯანსულო, ჯანსულო, მინდორს მოკო ფიორია – მინდორზე მინდა განავარდებაო...

გაინავარდა კიდეც.

--

ტელამონის ვაჟს ბერძნები თავდაპირველად «კედელს» ეძახდნენ, ხოლო შემდეგ «დიდი აიაქსი» შეარქვეს, რადგან პატარა სეხნიისგან განერჩიათ.

ტიტულოვანი «აიაქსის» მოთამაშეები «ნაპოლის» წინააღმდეგ ტროას გმირებივით იბრძოდნენ, მაგრამ კვარაცხელიამ სალამინის ძლევამოსილი პრინცი განგმირა.

დიადი კრუიფის მრავლისმნახველ არენაზე ყველაზე რკინისმკვნეტელ მოთამაშედ ხვიჩა მოგვევლინა, რომელმაც უკვე მრავალი მეტოქე გუნდის დაცვითი ეშელონები დაანგრია და ნაცარტუტად აქცია.

--

ჰოლანდიელი რემბრანდტი მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს მხატვრად ითვლება – იგი სახელოვნებო სამყაროში უმაღლესი იერარქიის თვალსაჩინო წარმომადგენელია.

1669 წლის 4 ოქტომბერს რემბრანდტი ამსტერდამში გარდაიცვალა.

მისი შთაგონების წყარო იტალიელი კარავაჯო იყო.

K V A R A V A G G I O

ზუსტად 353 წლის შემდეგ...

2022 წლის 4 ოქტომბერს ხვიჩა კვარაცხელიამ ამსტერდამში

«აიაქსი» დაკლა და მარადონას სახელობის სტადიონს ზვარაკად შესწირა.

«კვარავაჯომ» დახატა – ამჯერად სელის უხეშ ნაჭრად ნიდერლანდური ბალახი გარდაისახა.

კვარამ პირველ ტაიმში კინაღამ გაიტანა – მიზანთან ახლოს იყო, თუმცა კი საგოლე პასი მაინც შეასრულა.

მეორე ტაიმში დაამტვრიეს, მაგრამ ფენიქსივით აღდგა, «აიაქსის» კარი დალაშქრა და შემდეგ ზურმუხტისფერი მოედანი დატოვა.

***

ИТАЛИИС «СЕРИА А» ТУРИ №9 / КРЕМОНЕЗЕ-НАПОЛИ 1:4

ზუსტად 418 წლის წინ!

1604 წლის 9 ოქტომბერს ირმის ნახტომის გალაქტიკაში ზეახალი ვარსკვლავი (SUPERNOVA) წარმოიქმნა.

ზუსტად 418 წლის შემდეგ!

2022 წლის 9 ოქტომბერს ევროპული ფეხბურთის ზეახალი ვარსკვლავი (SUPERSTAR) «ვეფხვს» შეერკინა.

მატჩის წინ ხმები დაირხა, სპალეტიმ რამდენიმე წამყვან მოთამაშეს, მათ შორის ხვიჩასაც შეიძლება ამოსუნთქვის საშუალება მისცესო.

მე ჩემს საფეხბურთო გვერდზე (კომენTATOრი) მატჩის წინამოსაზრება გამოვთქვი და მაშინდელ ნააზრევს ქვემოთ მოგახსენებთ...

იმედია მწვრთნელი კვარაცხელიას სასტარტო შემადგენლობაში დააყენებს, რადგან «ვეფხვი» ტარიელივით დაახრჩოს.

კატისებრთა ოჯახის მრისხანე მტაცებელი «კრემონეზესთან» ასოცირდება – «ვეფხვები» ზედსახელია უტიტულო ლომბარდიული კლუბისა.

არავითარი დასვენება!

ამ ეტაპზე ტონუსში ყოფნა უმნიშვნელოვანესია. კარგი იქნება წელს ყველა შეხვედრაში რომ მიიღოს მონაწილეობა, რადგან გამუდმებული ბრძოლები ქართველ ფეხბურთელს ფოლადივით გამოაწრთობს.

კვარაცხელია მხოლოდ 21 წლისაა და წინ ნაყოფიერი დასვენებაც ელის.

მომდევნო თვეში «ნაპოლის» არაერთ წევრს მსოფლიო ჩემპიონატზე მოუწევს ოფლის ღვრა, ხოლო საქართველოს ნაკრების ლიდერი მთელი ერთი თვის განმავლობაში უსაქმოდ იქნება.

ოფიციალურ საქმეს და საკეთებელს ვგულისხმობ, თორემ ხვიჩა ბურთის გარეშე ვერ გაძლებს.

«ლურჯი ჩოჩორი» იტალიის ჩემპიონატისა და ჩემპიონთა ლიგის A ჯგუფს ცხრილის მწვერვალიდან გასცქერის!

ჰოდა, საქმეში ლოგიკას თუ ჩავრთავთ მარტივ პასუხსაც მივიღებთ «კრემონეზე» ვერას გახდება ისეთ კლუბთან, რომელიც კრემონელი სტრადივარიუსის ვიოლინოსავით არის აწყობილი.

--

ჩემი და სპალეტის ხედვა ერთმანეთს დაემთხვა. მწვრთნელმა კვარაცხელია სასტარტო შემადგენლობაში დააყენა და ქართველმაც ბოლო წამამდე იბრძოლა!

«ნაპოლის» ზედიზედ მეორე გასვლითი მატჩი ლომბარდიის მხარეში ქართველთა შერკინებით აღინიშნა!

ჯოვანი ძინის სახელობის სტადიონი ქალაქ კრემონაში მდებარეობს – წმინდა ლუკას მოედნიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ლუკა ლოჩოშვილი «ნაპოლის» სწორედ ამ არენაზე დაუხვდა..

საბოლოოდ ლოგიკამ გაიმარჯვა!

კვარაცხელიამ პენალტი მოინადირა და პოლიტანოს მიერ ზუსტად შესრულებული დარტყმის შემდეგ ანგარიში გაიხსნა!

ქართველმა შემტევმა ლოსანოს მიმართულებით შესანიშნავი საგოლე პასიც შეასრულა!

***

ჩემპიონთა ლიგა, A ჯგუფი, ტური №4 / ნაპოლი-აიაქსი 4:2

«ნაპოლის» ფორმაში გამოწყობილი კვარა თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან პირველად დადგა და ძლიერი დარტყმით მეტოქის კარი დალაშქრა.

მის აქტივში საგოლე პასიც ჩაიწერა.

ხვიჩა კვარაცხელია მატჩის საუკეთესო მოთამაშედ (Man of the Match) დაასახელეს, ხოლო «ნაპოლი» ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გავიდა!

***

იტალიის «სერია A» ტური №10 / ნაპოლი-ბოლონია 3:2

ფრე იყო დაფიქსირებული, როცა თამაშის დასრულებამდე დაახლოებით ოცი წუთით ადრე მრისხანე ტანდემი ჩაერთო საქმეში. კვარას მიერ შესრულებულმა პასმა ვიქტორ ოსიმენი მეკარის პირისპირ დატოვა და ნიგერიელმაც შანსი ფეხიდან არ გუშვა.

***

იტალიის «სერია A» ტური №11 / რომა-ნაპოლი 0:1

ისევ იმარჯვეს მარადიულ ქალაქში – ნაპოლი რომს ალარიხად მოევლინა!

კვარაცხელიამ და მისმა თანაგუნდელებმა მაურინიოს

შემუშავებული გეგმა დაამსხვრიეს.

ხვიჩამ ფუტკარივით იშრომა – სამქულიანი გოლის ავტორი კი ვიქტორ ოსიმენი გახდა.

--

რომის მრავლისმნახველ არენაზეც ვთქვათ სათქმელი – არენაზე სადაც 2022 წლის შემოდგომაზე «ნაპოლიმ» ექვსი ქულა აიღო.

1990 წლის 8 ივლისს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი რომის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა.

დასავლეთ გერმანია-არგენტინა 1:0

მატჩის ოთხმოცდამეხუთე წუთზე მექსიკელმა ედგარდო კოდესალმა არგენტინის ნაკრების კარში პენალტი დანიშნა. შემდგომში მათეუსი იტყვის – ბუცი მიჭერდა და დარტყმა ვერ გავრისკეო. მილანის «ინტერის» მარცხენა მცველი კი ცივსისხლიანი გამოდგა – ანდრეას ბრემემ პენალტი ზუსტად შეასრულა.

ბრემე, მათეუსი და კლინსმანი «ინტერში» თანაკლუბელები იყვნენ.

2023 წელს კვარაცხელია პირველად სწორედ «ინტერს» დაუპირისპირდა.

--

რომის ოლიმპიურ სტადიონს ჩემპიონთა თასის (ლიგის) ოთხი ფინალი უკავშირდება...

1977 წელი / ლივერპული-ბორუსია 3:1

1984 წელი / ლივერპული-რომა 1:1 (პენ-4:2)

1996 წელი / აიაქსი-იუვენტუსი 1:1 (პენ-2:4)

2009 / ბარსელონა-მანჩესტერ იუნაიტედი 2:0

«რომას» და «ლაციოს» არენა 1960 წელს გამართულ ზაფხულის ოლიმპიადაზეც მთავარ როლში იყო.

და ბოლოს...

1980 წელს რომის სტადიონზე ევროპის ჩემპიონატის ფინალი ჩატარდა.

ბელგია-დასავლეთ გერმანია 1:2

2021 წელს რომმა ევროპის ჩემპიონატის რამდენიმე მატჩსაც უმასპინძლა...

***

ჩემპიონთა ლიგა, A ჯგუფი, ტური №5 / აიაქსი-რეინჯერსი 3:0

გუნდმა მერვედფინალში თამაშის უფლება წინა ტურში მოიპოვა, ჰოდა სპალეტიმაც გუნდის წამყვანი მოთამაშის დასვენება განიზრახა.

ხვიჩამ თამაშს სათადარიგოთა სკამიდან უცქირა.

კარგი იქნებოდა, რომ ეთამაშა.

***

იტალიის «სერია A» ტური №12 / ნაპოლი-სასუოლო 4:0

კვარაცხელიმ და ოსიმენმა ზღაპარი შეთხზეს!

ქართველის აქტივში ორი საგოლე პასი და ერთი გოლი ჩაიწერა, ხოლო ნიგერიელმა სამჯერ გაიტანა...

შეიძლება ითქვას სპალეტიმ როტაციული მანქანა შექმნა. მწვრთნელს განზრახ თუ მიზეზთა გამო არაერთხელ მოუწია სხვადასხვაგვარი შემადგენლობის დაყენება და არჩევანმა ყოველთვის გაუმართლა.

აღვნიშნოთ ისიც, რომ ხუთი ტურის შემდეგ ნეაპოლურმა კლუბმა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაზე ყველა თამაში მოიგო და მეტოქეთა კარიც ყველაზე მეტჯერ დალაშქრა...

2022 წლის 29 ოქტომბრის მონაცემებით, თორმეტი ტურის შემდეგ შიდა პირველობასაც მარცხის გარეშე ლიდერობენ!

***

ჩემპიონთა ლიგა, A ჯგუფი, ტური №6

/ ლივერპული-ნაპოლი 2:0

მატჩის ორმოცდამეცამეტე წუთზე ხვიჩამ ლეო ესტიგორს ბურთი თავზე დაასვა – ნორვეგიელს გოლის გატანა არ გასჭირვებია, მაგრამ საქმეში მსაჯის თანაშემწე ვიდეო ***(VAR)*** ჩაერთო და საბოლოოდ გერმანელმა ტობიას შტილერმა მასპინძელთათვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო.

ოთხმოცდამესამე წუთზე კვარაცხელიას ნაცვლად მოედანზე ელიფ ელმასი შევიდა, ხოლო ზუსტად ორ წუთში მოჰამედ სალაჰმა ალექს მერეტის კარი დალაშქრა.

მატჩის კომპენსირებული დროის ბოლო წამზე დარვინ ნუნესმაც გაიტანა.

შტილერმა ბევრი იჭოჭმანა, თუმცა კრეისერ «ავრორასი» არ იყოს, «ენფილდზე» «ვარი» «წითლებისთვის» ისროდა...

***

იტალიის «სერია A» ტური №13 / ატალანტა-ნაპოლი 1:2

კვარაცხელიას არ უთამაშია – მიზეზი ტრავმა.

***

იტალიის «სერია A» ტური №14 / ნაპოლი-ემპოლი 2:0

კვარაცხელიას არ უთამაშია – მიზეზი ტრავმა.

***

იტალიის «სერია A» ტური №15 / ნაპოლი-უდინეზე 3:2

კვარაცხელიას არ უთამაშია – მიზეზი ტრავმა.

***

ИТАЛИИС «СЕРИА А» ТУРИ №16 / ИНТЕРИ-НАПОЛИ 1:0

მილანში მედგარი ბრძოლა შედგა – მატჩის ბედი კი ედინ ჯეკოს გოლმა გადაწყვიტა.

ერთადერთი წაუგებელი გუნდიც დაეცა. ევროპის წამყვან ჩემპიონატებში მხოლოდ «ნაპოლი» იყო დაუმარცხებელი.

სპალეტის გუნდმა ახალი წელი სამი ქულის დაკარგვით დაიწყო.

სიმართლე უნდა ითქვას – კვერაცხელიაც არ გახლდათ მოწოდების სიმაღლეზე და ჩვეულად ვერ ბრწყინავდა.

***

ИТАЛИИС «СЕРИА А» ТУРИ №17 / САМПДОРИА-НАПОЛИ 0:2

კვარამ სამი ქულის მოსაპოვებლად ბევრი იშრომა.

უკან ხშირად იხევდა, რამდენჯერმე მწვავედაც შეუტია და ერთი სიტყვით იმ მექანიზმის მნიშვნელოვანი დეტალი იყო, რომელმაც «სამპდორია» მოაშთო.

საუკეთესოდ კი შეგვიძლია ოსიმენი მივიჩნიოთ. მან მეტოქე პირველივე ტაიმში გატეხა. ნიგერიელმა ემილ აუდეროს კარიც აიღო და ათ წუთში თომას რინკონსაც წითელი ბარათი აკიდა.

***

ИТАЛИИС «СЕРИА А» ТУРИ №18 / НАПОЛИ-ЮВЕНТУСИ 5:1

2023 წლის 13 დეკემბერი – კვარავაჯო დაბრუნდა!

ძველით ახალი წლის ღამეს, როცა ღვინის ჭიქა გვერდზე გადავდე – «კალამი» მოვიმარჯვე ხელთ.

სად, როდის და თან ვისთან – ჰმ?

ხვიჩა კვარაცხელია იმ გუნდს დაუპირისპირდა, რომლის აქტივშიც ოცდათექვსმეტი ჩემპიონობა წერია...

დიახ, «იუვენტუსმა» იტალიის «სერია A» ყველაზე ბევრჯერ მოიგო!

უკანასკნელი რვა შეხვედრიდან «ზებრებმა» ქულათა მაქსიმუმი აიღეს – თან საკუთარ კარში ერთი ბურთიც არ გაუშვიათ.

სამთვიანი მშრალი სერია დასრულდა.

კვარამ ვოიჩეხ ტომაშ შჩესნის მიერ ჩაკირული კარი დალაშქრა.

ეს ის მეკარეა მსოფლიო ჩემპიონატზე ორი თერთმეტმეტრიანი დარტყმა რომ მოიგერია.

ერთხელ მესის აუღო.

--

კვარამ ხუთიდან ერთი გაიტანა და სამში მთავარი როლის შემსრულებლად მოგვევლინა.

ორი საგოლე პასი ორ საგოლე პასად, მაგრამ იმ აკრობატულმა დარტყმამ ხომ საერთოდ დაგლიჯა.

«ნაპოლიმ» უშუალო კონკურენტის ძლევით პოზიცია ძალზე გაიმყარა.

მეთვრამეტე ტურის წინ, მეორე ადგილზე მყოფი ტურინის «იუვენტუსი» პირველადგილოსანს უკვე ათი ქულით ჩამორჩება!

--

ოთხმოცდაათიანების სტარტზე...

1990 წლის 1 სექტემბერი

იტალიის SUPER თასი

ნაპოლი-იუვენტუსი 5:1

გ ო ლ ე ბ ი . . .

8’ სილენცი / ნაპოლი

11’ კარეკა / ნაპოლი
39’ რ.ბაჯო / იუვენტუსი
44’ კრიპა / ნაპოლი
45’ სილენცი / ნაპოლი
71’ კარეკა / ნაპოლი

***

იტალიის «სერია A» ტური №19 / სალერნიტანა-ნაპოლი 0:2

ამ მატჩამდე ბევრი რამ მოხდა...

მეოთხედფინალური სტადიიდან «ნაპოლი» იტალიის თასის გათამაშებას გამოეთიშა, ხოლო იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ფედერალურმა სასამართლომ – კაპიტალის მოგებისა და ყალბი ხარჯთაღრიცხვის საქმეში «იუვენტუსს» უმკაცრესი განაჩენი გამოუტანა – კვარაცხელიას მიერ ნაგვემ ტურინულ კლუბს 15 ქულა დააკლეს.

რაც შეეხება თასის გათამაშებას – ფაქტია, რომ სპალეტის უმთავრესი მიზანი იტალიის პირველობის მოგება და ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებული თამაშის გაგრძელებაა.

***

იტალიის «სერია A» ტური №20 / ნაპოლი-რომა 2:1

მატჩის მეჩვიდმეტე წუთზე კვარაცხელიასა და ოსიმენის ტანდემმა იფეთქა.

ხვიჩამ მარცხენა ფლანგიდან ოსიმენის მიმართულებით შეასრულა გადაცემა. ნიგერიელმა ბურთი მიიღო, დიდოსტატურად დაამუშავა და მეკარე რუი პატრისიოს აუღებელი დაურტყა.

უშეღავათო ბრძოლაში «ნაპოლიმ» სამი ქულა მოიპოვა.

ტრენტ ალექსანდრ-არნოლდი და ხვიჩა კვარაცხელია

კვარა რემკო პასვერს უტევს. ორი მატჩის ჯამში «ნაპოლის» მოთამაშეებმა «აიაქსის» კარი ათჯერ დალაშქრეს!

ვიქტორ ოსიმენი და ხვიჩა კვარაცხელია

ხვიჩას თამაშმა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაც დაამშვენა.

კვარავაჯომ ტურინის «იუვენტუსი» დაარბია!..

ცნობილი პოსტერი - «ნაპოლის» ახალი მეფე

***

ИТАЛИИС «СЕРИА А» ТУРИ №21 / СПЕЦИА-НАПОЛИ 0:3

მრისხანე დუეტი შეუჩერებელი იყო – კვარამ თერთმეტ-მეტრიანი დისტანციიდან ზუსტად დაარტყა და საკუთარ სტატისტიკას მორიგი საგოლა პასიც შემატა.

ოსიმენმა კი ბართლომიე დრონგოვსკის ორჯერ გაუტანა.

***

ИТАЛИИС «СЕРИА А» ТУРИ №22 / НАПОЛИ-КРЕМОНЕЗЕ 3:0

ოცდამეორე ტურის წინ ერთმანეთს რამდენიმე მოვლენა დავუკავშირე და ჩემს «Facebook» გვერდზე გამოვჭიმე...

მ ა ტ ჩ ა მ დ ე

12 თებერვალი, ხვიჩა კვარაცხელია, ჩარლზ დარვინი, ნეაპოლი, გალაპაგოსის კუნძულები და ვულკანური ლავა...

ხვიჩა დღეს 22 წლის გახდა და ოცდამეორე ტურისთვის ემზადება!

2022 ნეაპოლელთათვის უმნიშვნელოვანესი წელი იყო.

შარშან კვარაცხელიამ დიდ საქმეს ჩაუყარა საფუძველი და თავის საკეთებელს წელსაც წარმატებით ასრულებს!

--

1832 წლის 12 თებერვალს ეკვადორმა გალაპაგოსის კუნძულების ანექსია მოახდინა, ხოლო 2023 წლის 12 თებერვალს კვარამ კრემონელთა კარის დაპყრობა უნდა დაიწყოს!

1835 წელს გალაპაგოსზე ევროპელ მეცნიერთა ექსპედიცია გაემგზავრა, რომელთა რიგებშიც ჩარლზ დარვინი გახლდათ.

მოგვიანებით დარვინმა თავისი გახმაურებული ნაშრომი (სახეობათა წარმოშობა) გამოაქვეყნა.

დარვინის ნაშრომების შედეგად გალაპაგოსის კუნძულებმა სახელი საქვეყნოდ გაითქვა.

ჩარლზ დარვინიც იუბილარია!

1809 წლის 12 თებერვალს ინგლისელი ბუნებისმეტყველი დაიბადა.

მარადონას სახელობის სტადიონზე ქართველმაც უნდა აამეტყველოს ბურთი.

«ნაპოლის» კიდევ თუ მოაგებინებს, მაშინ აქტუალობას ფანტასტიკური ჟანრი შეიძენს.

უშუალო კონკურენტის ჩემპიონობა სწორედ რომ ფანტასტიკის სფეროში გადაინაცვლებს.

პრინციპში უფრო ფენტეზის...

სხვათაშორის ნეაპოლი და გალაპაგოსის კუნძულები ვულკანური წარმოშობისანი არიან და მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ ვულკანურ რეგიონებს წარმოადგენენ.

დღეს «ნაპოლი» ეტნას ლავასავით შთანთქავს მეტოქეს.

მატჩის შემდეგ...

22 წლის ხვიჩა კვარაცხელიამ 22 წლის მარკო კარნესეკის ოცდამეორე წუთზე გაუტანა!

ჩემი პროგნოზი გამართლდა – «ნაპოლიმ» მეტოქე ეტნას ლავასავით შთანთქა!

***

ИТАЛИИС «СЕРИА А» ТУРИ №23 / САСУОЛО-НАПОЛИ 0:2

SUPER სოლო შესრულება!

თამაშს ვერ ვუყურე, მაგრამ გოლი ასოცდასამიათასოთხ ასორმოცდათექვსმეტჯერ ვიხილე...

სიტყვები ზედმეტია – NO COMMENT.

***

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალი / აინტრახტი-ნაპოლი 0:2

არცერთ სხვა იტალიელ მხატვარს კარავაჯოსნაირი ზეგავლენა არ მოუხდენია.

თავის დროზე ბერნარდ ბერენსონმა სწორედ ასეთი სიტყვები თქვა.

ყველას რა ჩამოთვლის – ცნობილი კარავაჯისტებიდან სამის დასახელებაც კმარა...

რუბენსი, რემბრანდტი და ველასკესი...

ბერენსონის სიტყვებს მეც გავიმეორებ!

მიმდინარე იტალიის პირველობაზე არცერთ სხვა მოთამაშეს ხვიჩასნაირი ზეგავლენა არ მოუხდენია.

კვარავაჯო ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაზეც ხატავს – იგი მრისხანე პროტაგონისტია!

კვარამ პენალტი გოლად ვერ გარდასახა, თუმცა მოგვიანებით, მაღალი ოსტატობით შესრულებული ხელოვნების უზადო ნიმუში შექმნა!

საგოლე პასი ქუსლით – ეს არის შედევრის სამსიტყვიანი სათაური.

***

იტალიის «სერია A» ტური №24 / ემპოლი-ნაპოლი 0:2

ხვიჩა კვარაცხელიამ ორივე გოლში ლომის წილი დაიდო.

***

იტალიის «სერია A» ტური №25 / ნაპოლი-ლაციო 0:1

იუმორს მოვიშველიებ...

კვარაცხელია იმ დონის ასისტენტია, რომ ურუგვაის ნაკრებისა და რომის «ლაციოს» ნახევარმცველის მიმართულებითაც კი საგოლე პასი შეასრულა – თან თავით.

მატიას ვესინოს გოლმა «ლაციოს» სამი ქულა მოუტანა.

ეგ არაფერი – «ნაპოლის» საქმეს საგანგაშო ნამდვილად არ ეთქმის.

--

მოდით ახლა სტატისტიკას გადავხედოთ...

კვარა ევროპის მასშტაბით მოწინავე პოზიციებზეა!..

2022–23 სერია A

ხვიჩა კვარაცხელია მიმდინარე გათამაშების საუკეთესო ასისტენტია.

მან ცხრა საგოლე პასი შეასრულა და მეტოქეთა კარი ათჯერ დალაშქრა!

2022–23 უეფას ჩემპიონთა ლიგა

ხვიჩა კვარაცხელია, ლიონელ მესი, დიეგო ჟოტა და ჟოაო კანსელო მიმდინარე გათამაშების საუკეთესო ასისტენტები არიან.

მათ აქტივში ოთხ-ოთხი საგოლე პასია...

ესთეტიკური თვალსაზრისით, «ლივერპულთან» და «აინტრახტთან» კვარას მიერ შესრულებულ საგოლე გადაცემებს ბადალი არ მოეპოვება.

ხვიჩამ მეტოქეთა კარი ორჯერ აიღო!

2022–23 უეფას ერთა ლიგა / ლიგა C

ხვიჩა კვარაცხელია და ვედატ მურიკი ხუთ-ხუთი გატანილი გოლით გათამაშების საუკეთესო ბომბარდირები არიან.

***

იტალიის «სერია A» ტური №26 / ნაპოლი-ატალანტა 2:0

2023 წლის 11 მარტს, «ატალანტასთან» გასამართი მატ-

ჩის წინ – თებერვლის თვის საუკეთესო მოთამაშისთვის განკუთვნილი ჯილდო ხვიჩა კვარაცხელიას გადასცეს.

რაც შეეხება თამაშს...

მესამოცე წუთზე კვარას გოლმა მეტოქე გატეხა!

ვიქტორ ოსიმენმა ხელ(ფეხ)საყრელ პოზიციაზე მყოფი ქართველი შენიშნა.

კვარამ ნიგერიელი თანაგუნდელისგან ბურთი მიიღო, «ატალანტას» მცველები ცრუ მოძრაობებით გააბრუა და ზუსტი დარტყმით არგენტინელი ხუან მუსოს კარი აიღო.

ამირ რაჰმანიც ეფექტური გოლის ავტორი გახდა.

სამოცდამეჩვიდმეტე წუთზე ელიფ ელმასმა კუთხურიდან ჩააწოდა, ხოლო კოსოვოელმა ბურთს მარჯვედ დაუხვედრა თავი.

იტალიის ჩემპიონატის თვის საუკეთესოდ ხვიჩას გოლი დასახელდა.

***

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალი / განმეორებითი მატჩი ნაპოლი-აინტრახტი 3:0

კევინ ტრაპი ხვიჩა კვარაცხელიას მაგრად დაუდგა და არ გაატანინა, მაგრამ ეგ არაფერი...

კვარას თამაში უთუოდ დადებითად უნდა შეფასდეს.

პირველ შეხვედრაში ფრანკფურტის «აინტრახტთან» ქუსლით შესრულებული საგოლე პასი კი საფეხბურთო ანთოლოგიაში შევიდა.

ეს ნათქვამი მავანმა შეიძლება არაოფიციალურ განაცხადად აღიქვას, თუმცა აღნიშნული სიტყვა სხვადასხვა ავტორის რჩეულ თხზულებათა კრებულს გულისხმობს და გადატანითი მნიშვნელობით ფეხბურთსაც უხდება.

«ნაპოლიმ» ევროპის ლიგის მოქმედი ჩემპიონი დაჭმუჭნა

– უფრო მეტიც, სპალეტის ბიჭებმა «წითელ არწივს» წირვა გამოუყვანეს.

«ცისფერმა ჩოჩორმა» ორი მატჩის ჯამში 5:0 სძლია მეტოქეს.

--

ევროპის მთავარ საკლუბო ტურნირზე მარადონამ და კვარაცხელიამ ორ-ორჯერ დალაშქრეს მეტოქეთა კარი...

კვარა კიდევ გაიტანს-თან ბევრჯერ!

1987/1988-European Cup

მარადონა ასპარეზობას პირველივე ეტაპზე გამოეთიშა.

რეალი-ნაპოლი 2:0

ნაპოლი-რეალი 1:1

არგენტინელს ტურნირზე გოლი არ გაუტანია.

1990/1991-European Cup

მარადონა მეორე რაუნდში გამოეთიშა გათამაშებას.

ნაპოლი-სპარტაკი 0:0

სპარტაკი-ნაპოლი 0:0 / პენ: 5:3

მარადონამ ტურნირზე მხოლოდ ორი გოლი გაიტანა და ორივეჯერ ბუდაპეშტის «უიპეშტის» კარი აიღო.

მოკლედ ოლეგ რომანცევის გაწვრთნილმა მოსკოვის «სპარტაკმა» კამპანიური კლუბი ჩემპიონთა თასის გათამაშებიდან გააგდო.

«ნაპოლის» მოთამაშეებმა ჩერჩესოვის კარი 210 წუთის განმავლობაში ვერ დალაშქრეს.

2022/2023-UEFA Champions League

ნეაპოლის «ნაპოლი» მეოთხედფინალში პირველად გავიდა!

***

ИТАЛИИС «СЕРИА А» ТУРИ №27 / ТОРИНО-НАПОЛИ 0:4

ჯერ ვიქტორ ოსიმენმა გაიტანა, ხოლო შემდეგ ხვიჩა კვარაცხელიამ პენალტი მოიპოვა და გოლად თვითონ გარდასახა.

მეორე ტაიმის დაწყებიდან ექვს წუთში შესანიშნავი კომბინაცია გათამაშდა.

კვარამ საფირმო ქუსლური პასი მათიას ოლივერას მიმართულებით შეასრულა. ამ უკანასკნელმა ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა და ოსიმენმაც მეორედ გახვრიტა მილინკოვიჩ-სავიჩის სადგომი.

სამოცდამერვე წუთზე ოსიმენმა ბურთისთვის წარმატებით იბრძოლა და შემდეგ კვარაცხელია მოძებნა.

ხვიჩა მორიგი საგოლე პასის ავტორი გახდა.

ტანგი ნდომბელეს დარტყმულმა მიზანს მიაღწია.

--

ამ მატჩის შემდეგ ხვიჩა ბათუმის სტადიონს დაუბრუნდა.

სანამ ბათუმის ხასხასა არენაზე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი გაიმართებოდა საქართველოს ნაკრებმა წაივარჯიშა.

საქართველო-მონღოლეთი 6:1

კვარაცხელიას არ უთამაშია.

--

ორიოდ დღეში ერლინგ ჰალანდის გარეშე დარჩენილ «ლომებთან» პრინციპული მატჩი გაიმართა.

საქართველო-ნორვეგია 1:1

ამასობაში კი ცნობილი გახდა, რომ ხვიჩა კვარაცხელია ზედიზედ მეორედ (სულ მესამედ) იტალიის ჩემპიონატის გამორჩეულ ფეხბურთელად სცნეს. ის მარტის თვის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა.

***

ИТАЛИИС «СЕРИА А» ТУРИ №28 / НАПОЛИ-МИЛАНИ 0:4

დიეგო არმანდო მარადონას არენაზე იტალიის მოქმედი და მომავალი ჩემპიონი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

«ნაპოლი» დიდი ანგარიშით დამარცხდა, თუმცა ამ წაგებამ

სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე სპალეტის გუნდს დიდი ზიანი ვერ მიაყენა.

დამარცხებულთაგან ყველაზე უკეთ მაინც ქართველი გაისარჯა. ვინც თამაშს უცქირა აუცილებლად დამეთანხმება.

***

ИТАЛИИС «СЕРИА А» ТУРИ №29 / ЛЕЧЕ-МИЛАНИ 1:2

მომავალმა ტრიუმფატორმა საკუთარ აქტივს მორიგი სამი ქულა შემატა.

საინტერესოა რამდენი ტურით ადრე მოიპოვებენ ჩემპიონობას – ჰმ?

ოფიციალურად რაღა თქმა უნდა.

***

ЧЕМПИОНТА ЛИГИС МЕОТХЕДФИНАЛИ / МИЛАНИ-НАПОЛИ 1:0

მატჩის დასრულებისთანავე სოციალურ ქსელში შემდეგი ტექსტი გამოვჭიმე...

ბრძოლა იქ შედგა, სადაც ედოარდო ბენატომ და ჯანა ნანინიმ «Un'estate italiana» (იტალიური ზაფხული) იმღერეს!

1990 წლის 8 ივნისს იტალიური ზაფხულის ჯადოსნური ღამეები (Notti magiche) დაიწყო!

მას მერე ***33*** წელი გავიდა***...***

2023 წლის 10 ივნისს ჩემპიონთა ლიგის გათამაშება ფინიშის სწორს მიაღწევს!

არ ვიცი ფინალში «ნაპოლი» ითამაშებს თუ რომელიმე მილანური კლუბი, მაგრამ ერთი რამ გადაწყვეტილია!

მალე წიგნი დღის სინათლეს იხილავს, რომელიც სამი სიტყვით დასათაურდება...

კვარას იტალიური გაზაფხული

***

იტალიის «სერია A» ტური №30 / ნაპოლი-ვერონა 0:0

ზღაპრული თავგადასავალი სწორედ ვერონასთან დაიწყო.

პირველ ტურში ხვიჩამ მეტოქის კარი დალაშქრა და საგოლე პასიც შეასრულა, ხოლო «ნაპოლიმ» შექსპირისეული ქალაქი გამარჯვებულმა დატოვა.

ოცდამეათე ტურში კვრაცხელია შეხვედრაში მეორე ტაიმის მიმდინარეობისას ჩაერთო.

ტრავმის შემდეგ გუნდს ოსიმენიც დაუბრუნდა. კვარას მსგავსად მოედანზე მეორე ნახევარში შესულმა ნიგერიელმა მეტოქის კარის ძელი «გაღუნა» – გოლამდე ძალზე ცოტა დააკლდა.

***

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი / განმეორებითი მატჩი

ნაპოლი-მილანი 1:1

პირველ ტაიმში ოლივიე ჟირუ თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან დადგა, მაგრამ ალექს მერეტიმ მსოფლიო ჩემპიონის დარტყმული მოიგერია.

მართალია თამაშის მიწურულს პენალტი კვარაცხელიამაც ვერ გარდასახა გოლად (მაიკ მენიანმა აუღო), მაგრამ შეხვედრაში ყველასგან გამოირჩეოდა, რაც განმეორებითი ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც აისახა.

ქართველის მიერ განხორციელებულმა დრიბლინგებმა მატჩი გაამდიდრა...

ტურნირს გამოთიშული კლუბებიდან რჩეულთა შორის მხოლოდ კვარაცხელია და კიმიხი დასახელდნენ.

ს ი მ ბ ო ლ უ რ ი . . .

ტიბო კურტუა / რეალი

-

ფედერიკო დიმარკო / ინტერი
რუბენ დიასი / მანჩესტერ სიტი
ედერ მილიტაო / რეალი
დანი კარვახალი / რეალი

-

იოზუა კიმიხი / ბაიერნი
ხვიჩა კვარაცხელია / ნაპოლი
ჯეკ გრილიში / მანჩესტერ სიტი
ფედერიკო ვალვერდე / რეალი
როდრიგო / რეალი

-

ლაუტარო მარტინესი / ინტერი

***

ИТАЛИИС «СЕРИА А» ТУРИ №31 / ИУВЕНТУСИ-НАПОЛИ 0:1

პირველ წრეში, მათი დაპირისპირების შემდეგ «ბებერ ქალბატონს» 15 ქულა დააკლეს.

ამ გუნდების მეორე შეხვედრიდან სამი დღით ადრე ცნობილი გახდა, რომ «იუვენტუსს» 15 ქულა დაუბრუნეს.

შედეგად «იუვე» მესამეზე აღზევდა. ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტი «მილანი» კი ოთხეულს მიღმა აღმოჩნდა.

სიტუაცია ოცდაათი ტურის შემდეგ...

მეხუთე ადგილზე მყოფ «როსონერის» 53 ქულა, ხოლო ჩემპიონთა ლიგაზე მათ მომავალ მეტოქეს 51 ქულა ჰქონდა – «ინტერი» მეექვსე ადგილზე იყო.

--

ოცდამეთერთმეტე ტურში მილანურმა გრანდებმა სამ-სამი ქულა აიღეს და კამპანიურმა კლუბმაც გაიმარჯვა!

ისევე როგორც «სპეციასთან» – მატჩის კომპენსირებულ დროში მეტოქის კარს გასაღები რასპადორიმ მოარგო.

ჰო, კიდევ...

ფეხბურთი მხოლოდ გოლი და საგოლე პასი არ არის.

კვარაცხელიამ ჩინებულად ითამაშა და «იუვენტუსის» მარჯვენა ფლანგი დაქანცა.

ხვიჩა თავდასხმაშიც კარგი იყო და «იუვენტუსის» შეტევებსაც წარმატებით აღუდგა წინ.

***

იტალიის «სერია A» ტური №32 / ნაპოლი-სალერნიტანა 1:1

მატჩის სამოცდამეერთე წუთზე ურუგვაელმა მათიას ოლივერამ მარადონას სახელობის არენა ვულკანურ კრატერად გადააქცია.

მიძინებული ვეზუვივით მყოფი ნეაპოლელი «ტიფოზები» აბობოქრდნენ და სტადიონი ხაშლამის ქვაბს დაამსგავსეს – «მარადონას» ოხშივარი ასდიოდა, თუმცა მატჩის მიწურულს სენეგალელმა ბულაიე დიამ კამპანიური ზეიმი გადადო.

***

ИТАЛИИС «СЕРИА А» ТУРИ №33 / УДИНЕЗЕ-НАПОЛИ 1:1

ჩემპიონობა 33 წლის შემდეგ – თან ოცდამეცამეტე ტურში...

მ ე ს ა მ ე დ ! ! !

მეცამეტე წუთზე სანდი ლოვრიჩის გოლით «უდინეზემ» პირველი ტაიმი მოიგო, ხოლო მეორე ნახევრის გამარჯვებული «ნაპოლი» გახდა.

ორმოცდამეთორმეტე წუთზე ხვიჩა კვარაცხელიამ მეტოქის კარისკენ დაარტყა – მარკო სილვესტრიმ «Puma Orbita» მოიგერია, თუმცა ვერ შეიმაგრა. იქვე ჩასაფრებულმა ვიქტორ ოსიმენმა კი მარჯვენა ფეხი მარჯვედ მოიქნია და ანგარიში გაათანაბრა.

კვარამ იტალიის «სერია A» მოიგო!

პირველობის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე მის აქტივში 12 გოლი და 10 საგოლე პასი იკითხება. ქართველი შემტევი ტურნირის საუკეთესო ასისტენტია.

იგი სამჯერ დასახელდა თვის საუკეთესო მოთამაშედ.

დიდი შანსია გათამაშების საუკეთესო ფეხბურთელიც გახდეს.

--

გადავწყვიტე რომ დარჩენილ ხუთ ტურს აღარ დაველოდო და სიმბოლურად წერტილი სწორედ ახლა დავსვა.

ხვიჩა კვარაცხელიამ ზღაპარში სიცხადე შეიტანა.

წინ მღელვარებით აღსავსე თავგადასავლები გველის!..